საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დე ლა ტორე ბოტარო

დე ლა ტორე ბოტარო (De la Torre Botarro) გუსტავო ალფრედო, თანამედროვე ჩილელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ეკუთვნის ნარკვევები საქართველოს ისტორიის, კულტურისა და მწერლობის შესახებ. 1964 სანტიაგო-დე-ჩილეში ესპ. ენაზე გამოსცა „ვეფხისტყაოსნის" სრული პროზაული თარგმანი. თარგმანს დართული აქვს ვრცელი ნარკვევი, რ-შიც ავტორი, თავის სხვა ნაშრომების მსგავსად, ავითარებს აზრს, რომ პოემა ემყარება ძველ ქართულ მდიდარ კულტურას და გამოხატავს ეროვნ., სახელმწიფოებრივ და სოც.-პოლ*იტ.* იდეალებს. მისმა სტატიებმა ხელი შეუწყო ქართ. კულტ. პოპულარიზაციას ესპ. ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ქვეყნებში.

1966 სანტიაგოში ჩატარდა შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, სადაც დე ლა ტ. ბ. მოხსენებით გამოვიდა.

თხზ.: შოთა რუსთაველის შემოქმედების შესახებ, «კომუნისტი», 1965, 27 ივნ., № 150; რაინდული ეპოსი, იქვე, 1966, 30 სექტ., № 223.